შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) 5
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი) 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები 16

MOORE

MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str.,
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს ,,საფეხბურთო კლუბ გაგრა''-ს მენეჯმენტს
ჭ. ლომთათიძის ქუჩა №51
ქ. თბილისი, საქართველო

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს ,,საფეხბურთო კლუბ გაგრა"**-ს (შემდგომში "კლუბი") სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2025 წლის განმავლობაში კლუბს კაპიტალში აღრიცხული აქვს ჯამში 807,218 ლარის ოდენობით შენატანი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმების სახით აღრიცხული თანხის კაპიტალში კონტრიბუციად კლასიფიკაციაში დასარწმუნებლად. აღნიშნული 807,218 ლარიდან 200,801 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალში შენატანზე ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება კრების ოქმის სახით შეტანილი თანხის ოდენობაში დასარწმუნებლად.

კლუბის მოგება-ზარალის უწყისში 2025 წლის უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები შეადგენს 419,347 ლარს. აღნიშნული თანხიდან 51,138 ლარის ოდენობის იჯარა წარმოადგენს ფასს 16 „იჯარა"-ით აღრიცხვის საგანს, თუმცა ანგარიშგებაში წარმოდგენილი არის როგორც საოპერაციო იჯარის ხარჯი. შესაბამისად, საბალანსო უწყისში არ არის წარმოდგენილი აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების მუხლები. მოგება-ზარალის უწყისში კი მასზე დარიცხული ცვეთისა და საპროცენტო ხარჯები.

2025 წლის განმავლობაში კლუბს სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი, მუხლის ქვეშ აღრიცხული აქვს მოსწავლეთა სწავლებიდან მიღებული თანხები 62,670 ლარის ოდენობით, რომელზეც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ოფიციალური დოკუმენტაციის სახით, მიღებული თანხის ოდენობაში დასარწმუნებლად.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კლუბისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა დასკვნის გავრცელებასა და გამოყენებაზე

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისათვის. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებულ იქნას სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კლუბის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედვლობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (*გაგრძელება*)

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თებერვალი 23, 2026
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

საბალანსო უწყისი	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 2025	ძველი წელი 31.12.T-2 2024
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სასხსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	202,987.00	40,126.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
სხვა დებიტორული დავალიანება	21,550.00	219,371.00
საგადასახადო აქტივები	44,897.00	36,185.00
მატერიალური მარაგები	3,586.00	6,299.00
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**273,020.00**	**301,981.00**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	56,473.00	39,215.00
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	-	-
არამატერიალური აქტივები - სხვა	446.00	527.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
ინვესტიციები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**56,919.00**	**39,742.00**
მთლიანი აქტივები	329,939.00	341,723.00
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	-
ბანკის და სხვა სესხები	583,840.00	521,941.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	14,000.00	14,000.00
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	57,701.00
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ანარიცხები	-	2,672.00
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	246,912.00	238,458.00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	**844,752.00**	**834,772.00**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	-
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**-**	**-**
სულ ვალდებულებები	844,752.00	834,772.00
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(514,813.00)	(493,049.00)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	5,059,685.00	4,240,023.00
გაუნაწილებელი მოგება	(5,574,498.00)	(4,733,072.00)
სხვა რეზერვები	-	-

საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

საბალანსო უწყისი	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 2025	ძველი წელი 31.12.T-2 2024
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	**(514,813.00)**	**(493,049.00)**
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	329,939.00	341,723.00
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(493,049.00)	(733,176.00)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(841,426.00)	(924,651.00)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	819,662.00	1,164,778.00
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	-	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(514,813.00)	(493,049.00)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	11,864.00	11,864.00
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი	-	-
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	11,864.00	11,864.00
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	11,864.00	8,328.00
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	3,536.00
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	11,864.00	11,864.00
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	3,536.00
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 23.02.2026

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ვიქტორია ფურგლიშვილი თარიღი: 23.02.2026

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

მოგება-ზარალის უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

მოგება-ზარალის უწყისი	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 2025	ბოლო წელი 31.12.T-2 2024
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ამონაგები ბილეთებიდან	**-**	**-**
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	98,500.00	228,814.00
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ სპონსორობა და რეკლამა	**98,500.00**	**228,814.00**
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ტრანსლაციის უფლებები	**-**	**-**
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
კომერციული - საქონლის გაყიდვა	-	-
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში	-	-
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ კომერციული	**-**	**-**
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	711,837.00	217,451.00
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	-	-
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	**711,837.00**	**217,451.00**
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	20,000.00	22,500.00
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,837,649.00	1,663,600.00
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან	-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	64,178.00	127,866.00
სულ სხვა შემოსავალი	**1,921,827.00**	**1,813,966.00**
სულ შემოსავალი	**2,732,164.00**	**2,260,231.00**
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	**-**	**-**
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(873,006.00)	(832,193.00)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(227,943.00)	(221,136.00)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	**(1,100,949.00)**	**(1,053,329.00)**
სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - ხელფასი და ანაზღაურება	(598,306.00)	(439,113.00)
სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - გადასახადები და სოციალური შენატანები	(133,460.00)	(115,909.00)
სპორტულ-ტქნიკური პერსონალის სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ სპორტულ-ტქნიკური პერსონალის მომსახურების ხარჯები	**(731,766.00)**	**(555,022.00)**
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(407,914.00)	(361,135.00)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(134,375.00)	(98,475.00)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(542,289.00)**	**(459,610.00)**

მოგება-ზარალის უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

მოგება-ზარალის უწყისი	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 2025	ძველი წელი 31.12.T-2 2024
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი	-	-
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(2,375,004.00)**	**(2,067,961.00)**
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(10,992.00)	(11,188.00)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	-	-
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება	-	-
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	**(10,992.00)**	**(11,188.00)**
მატჩის დღის ხარჯები	(341,007.00)	(272,543.00)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	-	-
კომერციული აქტივობების ხარჯები	-	-
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(419,347.00)	(363,588.00)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები	(13,463.00)	(10,258.00)
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(393,379.00)	(406,593.00)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**(1,167,196.00)**	**(1,052,982.00)**
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	**(3,553,192.00)**	**(3,132,131.00)**
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	(3,536.00)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	**-**	**(3,536.00)**
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	**-**	**-**
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	(22,848.00)	(34,163.00)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	**(22,848.00)**	**(34,163.00)**
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	2,450.00	-
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	-	(15,052.00)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	**2,450.00**	**(15,052.00)**
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	-	-
მოგება/(ზარალი) დაზეგვრის შემდეგ	(841,426.00)	(924,651.00)
დივიდენდები	-	-
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(841,426.00)	(924,651.00)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 23.02.2026

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ვიქტორია დურგლიშვილი

თარიღი: 23.02.2026

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ლიცენზიის მაძებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 2025	ძველი წელი 31.12.T-2 2024
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(3,673,461.25)	(3,769,969.00)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	40,000.00	-
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	(115,000.00)	-
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	654,253.23	619,244.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(458,852.65)	-
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	807,218.00	1,154,561.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	**927,618.58**	**1,773,805.00**
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)	2,908,702.93	2,034,779.00
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	162,860.26	38,615.00
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	40,126.00	1,511.00
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	162,860.26	38,615.00
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	202,986.26	40,126.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	202,987.00	40,126.00

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 23.02.2026

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ვიქტორია დურგლიშვილი

თარიღი: 23.02.2026

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1. კლუბის შესახებ

„საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს (ს/ნ 200112476) სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კლუბის დირექტორია ვიქტორია დურგლიშვილი.

კლუბის სამომავლო მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონში ფეხბურთის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა;
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით საფეხბურთო ტურნირების ჩატარება;
- ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა და მათი წახალისება;
- დასახული მიზნების მისაღწევად კლუბი ამზადებს და ანხორციელებს გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებსა და პროექტებს, შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად;
- კლუბი შეიძლება ეწეოდეს აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება კლუბის მიზნების განხორციელებას.

კლუბის სამუშაო გეგმას წარმოადგენს - საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება უეფა-ს სტანდარტებთან. დაგეგმილია კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელების შემდგომში ტრანსფერებით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს მეწილეები არიან :

მეწილე	**31-დეკ-25**	**31-დეკ-24**
ბესიკ ჩიხრაძე	51%	51%
შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"	11%	11%
მიხეილ სვიმონიშვილი	6%	6%
გიორგი მახათაძე	7%	7%
თორნიკე ჭიკაძე	5%	5%
ვლადიმერ ჭელიძე	5%	5%
მამუკა მახათაძე	3%	3%
გეორგი მანაგაძე	3%	3%
მარტინ ქრისტოფერ იანსენი	3%	3%
ჰელენა ფრანცისკა შულტე	3%	3%
სს "სარაჯიშვილი"	3%	3%
	100%	**100%**

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა

- **მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა როდესაც შემოსავლები და ხარჯები აღიარდება საკასო მეთოდით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა საკასო, დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

- **ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

- **უცხოური ვალუტის გადაფასება *(გაგრძელება)***

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2025 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

ვალუტა	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ლარი / 1 ევრო	3.1737	2.9306

- **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია ფასით - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავტომობილები	5 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სპეც. ტექნიკა	5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

- **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, UEFA-სგან მისაღები თანხები და სხვა შემოსავლები.

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2026 წლის 9 იანვრის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმი N50-ის მიხედვით, წარმოდგენილ იქნა 2026 წლის პროგრამული დაფინანსების ბიუჯეტი დაფინანსების ძირითადი მიმართულებებისა და მოცულობის მიხედვით, რომლის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- კლუბების საბაზისო დაფინანსების განსაზღვრა;
- კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხების განსაზღვრა;
- კლუბების ფინანსური სტიმულირების განსაზღვრა;

კლუბების საბაზისო დაფინანსება წარმოდგენილია შემდეგი სახით, ჯამში 16,520,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 200,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 120,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).
ფეხბურთელების ჯანმრთელობის დაზღვევა: Crystalbet ეროვნული ლიგა, Crystalbet ეროვნული ლიგა--2 და ეროვნული ლიგა 3 (სულ - 36 გუნდი) – 980 000 (ცხრაას ოთხმოცი ათასი) ლარი.

კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხები და ეროვნულ ჩემპიონატში VAR სისტემის მომსახურება განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 6,720,000 ლარის ოდენობით:

- ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 20,000 ლარი, ფრის შემთხვევაში გუნდზე 6,500 ლარი;
- ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 10,000 ლარი, ფრის შემთხვევაში გუნდზე 3,300 ლარი;
- საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე მერვედფინალიდან ფინალამდე ყოველი ეტაპის გადალახვისთვის 10,000 ლარი.
- სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასის მონაწილე 4 კლუბის დაფინანსება I -ადგილი - 60,000 ლარი; II ადგილი - 40,000 ლარი; III ადგილი - 30,000 ლარი; IV ადგილი - 20,000 ლარი;
- ეროვნულ ჩემპიონატში VAR (Video Assistant Referee) სისტემის მომსახურება სულ 192 მატჩი - ერთი მატჩის მომსახურების ღირებულება 2,800 ლარი. მათ შორის: Crystalbet ეროვნული ლიგის ყველა მატჩი (სულ: 180 თამაში), პლეიოფის 4 მატჩი, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის 1/4 ფინალური, 1/2 ფინალური და ფინალური მატჩები (სულ: 7 თამაში) და სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასის ფინალური მატჩი.

2026 წლის დეკემბრის თვეში ცნობილი იქნება, რა თანხა იქნება საპრემიო ფინდისთვის საჭირო, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, განისაზღვროს საპრიზო ფონდის ბიუჯეტი (ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვის საპრიზო თანხა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა):

- ჩემპიონი - 50%
- II ადგილი - 30%
- III ადგილი - 10 %
- თასის მფლობელი - 10 %

კლუბების ფინანსური სტიმულირების თანხა განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 11,500,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - არაუმეტეს - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - არაუმეტეს - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 3 (10 გუნდი I-X- ადგილი)) არაუმეტეს - 100,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 4 (10 გუნდი I-X- ადგილი)) არაუმეტეს 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
ფულადი სახსრები ბანკში ლარში	202,869	40,126
ფულადი სახსრები ბანკში აშშ დოლარში	118	-
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	**202,987**	**40,126**

შენიშვნა 5. სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 21,550 ლარს, რომელიც წარმოადგენს კლუბის მიერ აკადემიაში მოსწავლეთა სწავლებისათვის მისაღებ თანხებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა დებიტორული დავალიანება შეადგენს 219,371 ლარს, რომელიც წარმოადგენს კლუბის მიერ მისაღებ უეფას საკლუბო შეჯიბრებების თანხებს.

შენიშვნა 6. საგადასახადო აქტივები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის საგადასახადო აქტივი შეადგენს 44,897 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 36,185 ლარი).

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ავტომობილები	ავეჯი და აღჭურვილობა	სპეც ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**79,096**	**28,207**	**11,220**	**118,523**
შესყიდვა	16,966	1,609	9,596	**28,171**
ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2025 მდგომარეობით	**96,062**	**29,816**	**20,816**	**146,694**
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**(51,207)**	**(19,432)**	**(8,669)**	**(79,308)**
პერიოდის ცვეთა	(6,056)	(4,449)	(408)	**(10,913)**
ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2025 მდგომარეობით	**(57,263)**	**(23,881)**	**(9,077)**	**(90,221)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**27,889**	**8,775**	**2,551**	**39,215**
ნაშთი 31.12.2025 მდომარეობით	**38,799**	**5,935**	**11,739**	**56,473**

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები *(გაგრძელება)*

2024 წელი 31 დეკემბრის მდგომარეობით	ავტომობილები	ავეჯი და აღჭურვილობა	სპეც. ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	**76,674**	**31,928**	**11,220**	**119,822**
შესყიდვა	2,422	5,410	-	**7,832**
ჩამოწერა	-	(9,131)	-	**(9,131)**
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**79,096**	**28,207**	**11,220**	**118,523**
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	**(53,160)**	**(12,811)**	**(8,669)**	**(74,640)**
პერიოდის ცვეთა	(5,969)	(4,709)	(510)	**(11,188)**
ჩამოწერა	7,922	(1,912)	510	**6,520**
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**(51,207)**	**(19,432)**	**(8,669)**	**(79,308)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	**23,514**	**19,117**	**2,551**	**45,182**
ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	**27,889**	**8,775**	**2,551**	**39,215**

შენიშვნა 8. ბანკის და სხვა სესხები

2022 წლის 22 დეკემბერის სესხის ხელშეკრულებით კლუბს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან“ მიღებული აქვს სესხი 50,000 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთით 8%. 2025 წლის 18 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაქვითა აღნიშნული სესხი 50,000 ლარის ოდენობით. 2025 წლის განმავლობაში სესხზე დარიცხული პროცენტი შედგენს 537 ლარს (2024 წელი: 8,110 ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითო სესხის გადასახდელი ძირისა და პროცენტის ნაშთი შეადგენს 0 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 50,000 ლარი და 8,110 ლარი შესაბამისად).

2024 წლის პირველი ნოემბრის სესხის ხელშეკრულებით კლუბს დამფუძნებელ ბესიკ ჩიხრაძისგან მიღებული აქვს მეორე სესხი 140,000 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთით 0%. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითო სესხის გადასახდელი ძირისა და პროცენტის ნაშთი შეადგენს 25,000 ლარს. აღნიშნულ მიღებულ სესხზე, 2025 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი (საბაზრო პროცენტის შესაბამისად) შეადგენს 12,445 ლარს (2024 წელი: 3,683 ლარი).

2024 წლის 6 დეკემბერსა და 2024 წლის 16 დეკემბერს კლუბს ბაზის ბანკისგან აღებული აქვს 2 სესხი, 68,000 ევროსა და 42,000 ევროს ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 9.9%. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გადასახდელი ძირი თანხის ნაშთი ეროვნულ ვალუტაში შესაბამისად შედგენს 199,280 და 124,551 ლარს. 2025 წლის 21 თებარვალსა და პირველ აპრილს კლუბმა სრულად დაფარა ეს ორი სესხი.

2025 წლის 24 დეკემბერს კლუბს ბაზის ბანკისგან აღებული აქვს 164,730 ევროს ოდენობით სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი 10.9%. 2025 წლის სესხზე დარიხული პროცენტი შედგენს 1,108 ლარს (2024 წელი: 0 ლარი). 2025 წელს სესხის საბოლოო ნაშთი შეადგენს 518,840 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 0)

2025 წლის 15 დეკემბრის სესხის ხელშეკრულებით, კლუბს შპს „გაგრა პლუსი“-სგან აქვს მიღებული სესხი 100,000 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 15%. კლუბმა 2025 წლის 24 დეკემბერს სრულად დაფარა სესხი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 411 ლარს (2024 წელი: 0 ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის საბოლოო ნაშთი შეადგენს 0 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 0)

2025 წლის 29 იანვრის სესხის ხელშეკრულებით, კლუბს შპს „კლინტექი“-სგან აქვს მიღებული სესხი 30,000 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 8%. კლუბმა 2025 წელის 29 აპრილს სრულად დაფარა სესხი. 2025 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შედგენს 460 ლარს (2024 წელი: 0 ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის საბოლოო ნაშთი შედგენს 0 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 0 ლარი).

შენიშვნა 8. ბანკის და სხვა სესხები *(გაგრძელება)*

2025 წლის 10 ნოემბრის სესხის ხელშეკრულებით, კლუბს დამფუძნებელ ბესიკ ჩიხრაძისგან აქვს მიღებული სესხი 40,000 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 0%. 2025 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 0 ლარს (2024 წელი: 0 ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის საბოლოო ნაშთი შეადგენს 40,000 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 0).

შედეგად, კლუბს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი სასესხო ვალდებულებები შეადგენს 583,840 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 521,941 ლარი).

შენიშვნა 9. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

კლუბს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია თანამშრომელთა მიმართ გადასახდელი ვალდებულებების ნაშთი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ შეადგენს 57,701 ლარს, რომელიც წარმოადგენს გადაუხდელ ბონუსისა და სახელფასო დავალიანებებს.

შენიშვნა 10. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი ვალდებულებისგან (188,261 ლარი) და სხვა მოკლევადიანი კრედიტორული ვალდებულებებისაგან (58,651 ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი ვალდებულებისგან (გარდა სასესხო ვალდებულებისა, რადგან აღნიშნული წარმოდგენილია ბანკის და სხვა სესხების მუხლის ქვეშ) (157,843 ლარი) და სხვა მოკლევადიანი კრედიტორული ვალდებულებებისაგან (80,615 ლარი).

შენიშვნა 11. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

2025 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5,059,685 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერს: 4,240,023 ლარი).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბს გააჩნია წმინდა ვალდებულების პოზიცია, რომელიც შეადგენს 514,813 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის წმინდა ვალდებულების პოზიცია შეადგენდა 493,049 ლარს).

შენიშვნა 12. სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე

2025 წელს სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე-დან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს კლუბის სპონსორისაგან მიღებულ თანხებს სასპონსორო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, რომელმაც შეადგინა 98,500 ლარი (2024 წელი: 228,814 ლარი).

შენიშვნა 13. უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები შედგება უეფასგან მიღებული თანხისგან, რომელმაც 2025 წელს შეადგენდა 711,837 ლარს (2024 წელი: 217,451 ლარი).

შენიშვნა 14. სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან, რომლებიც 2025 წელს შეადგენდა 1,837,649 ლარს, მოიცავს ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებულ თანხებს 1,767,249 ლარს და სსიპ კულტურის სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა სააგენტოსგან მიღებულ 70,400 ლარს.

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან, რომლებიც 2024 წელს შეადგენდა 1,663,600 ლარს, მოიცავს ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებულ თანხებს 1,626,000 ლარს და სსიპ კულტურის სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა სააგენტოსგან მიღებულ 37,600 ლარს.

შენიშვნა 15. სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2025 წელს სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი წარმოადგენს აკადემიაში მოსწავლეთა სწავლების თანხებს (62,670 ლარი) და სხვა შემოსავალს (1,508 ლარი).

2024 წელს სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი წარმოადგენს მიუნხენის ბაიერნში ლუკა პარკაძის ტრანსფერს (82,384 ლარი), სწავლების საფასურს (38,206 ლარი) და სხვა შემოსავალს (7,276 ლარი).

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას.

შენიშვნა 17. ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს და საპენსიო ანარიცხებს.

შენიშვნა 18. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს კლუბის სხვა პერსონალზე - მწვრთნელები, ადმინისტრაციული, სამედიცინო და სხვა პერსონალზე დარიცხულ ძირითად ხელფასსა და პრემიას.

შენიშვნა 19. სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს და საპენსიო ანარიცხებს.

შენიშვნა 20. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს მატჩის საორგანიზაციო საკითხებისთვის გაწეული ხარჯების საფასურს, ტრანსპორტირების, სასტუმროს, მატჩის დაცვის და სამედიცინო ხარჯებს, რომელმაც 2025 წელს შეადგინა 341,007 ლარი (2024 წელი: 272,543 ლარი).

შენიშვნა 21. უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები მოიცავს სტადიონის იჯარის, ბინის ქირის და საოფისე ფართის იჯარის ხარჯს, რომელმაც 2025 წელს შეადგინა 419,347 ლარი (2024 წელი: 363,588 ლარი).

შენიშვნა 22. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს ძირითადად საწევრო გადასახადს, სალიცენზიო მოსაკრებელს, საწვავის და სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელმაც 2025 წელს შეადგინა 393,379 ლარი (2024 წელი: 406,593 ლარი).

შენიშვნა 23. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- **სასამართლო დავები**

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შენიშვნა 24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან *(გაგრძელება)*

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან **31.12.2025**	**გადასახდელი** **სესხის ძირი**
უმაღლესი ხელმძღვანელობის პირი	65,000
სულ	**65,000**

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2025 წელი	**შემოსავალი**	**ხელფასის ხარჯი**	**პროცენტის ხარჯი**
მეწილე	-	-	12,445
უმაღლესი ხელმძღვანელობის პირი	-	97,181	-
სხვა დაკავშირებული მხარე	98,500	-	871
სულ	**228,814**	**97,181**	**30,161**

შენიშვნა 25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კლუბის საწესდებო კაპიტალი 2026 წლის 03 თებერვალს და 2026 წლის 06 თებერვალს გაიზარდა 50,000 ლარისა და 40,000 ლარის ოდენობით შესაბამისად.

კლუბმა საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდისგან 2026 წლის 21 იანვარს, 2026 წლის 06 თებერვალსა და 2026 წლის 11 თებერვალს მიიღო დაფინანსება 250,000 ლარის, 35,000 ლარისა და 39,000 ლარის ოდენობით შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი

ლიცენზიის მაძებელი:
შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

	ანგარიშგების წელი 31.12.T-1	ძველი წელი 31.12.T-2	
ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	2025	2024	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	52,923.02	70,000.00	მწვ. ხელფ -ა.პისკოვეცი -22500 მწვ. ხელ- გ. ტყეშელაშვილი-30432.02
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	86,581.64	50,738.63	აკად ადმინ. ხელ-მ. მერეჩკო-13750 u15 მწვ.ს ხელფ-ჩიხრაძე გ.-129081.64 u16 მწვ.ს ხელ - ჯოჯუა ვლადიმერ-25000 u17 მწვ.ს ხელ - მელქაძე გიორგი- 18750
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	5,330.00	1,530.00	კონსმედი სამედიცინო შემოწმებები
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	31,910.00	21,090.63	ნოდაძის სატრანსპორტო -4890 მომს. ხელშეკ 25.01.25 და მჩ-ბი ბუბუტეიშვილის სატრ-27020 მომს. ხელ01.05.25 და მჩ-ბი
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	102,400.00	98,861.90	სპორტმშენსერვისი ხელმოვნურსაფარიანი მოედნის იჯარა
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	18,800.00	38,500.00	საწევრო დებულების თანახმად. აფხაზ. ფედერ საწევრო-1100 თბილისის ფედერ ელიტ ლიგა-2700, სფფ ლიგა4 - 15000
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	**297,944.66**	**280,721.16**	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)			
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	578,645.88	217,450.52	193630 ევრო უეფა ჭაბუკთა ლიგის დაფინანსება
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!			
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	**578,645.88**	**217,450.52**	
წმინდა შედეგი	**280,701.22**	**(63,270.64)**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: დირექტორი: ვიქტორია ლურგლიშვილი

თარიღი: 23.02.2026

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს "მოორ ეიბისი"

უფლებამოსილი წარმომადგენელი: მიხეილ აბაიაძე

თარიღი: 23.02.2026

- დოკუმენტის დასასრული **-**